

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის ზაალ სანაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგესალმებით ძვირფასო კოლეგებო, ამომრჩევლებო!

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის¹ და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ² მოიცავს 2018 წელის სამუშაო პერიოდს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი პროპორციული სიით.

წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირებაში ჩართვა ჩემთვის არ იყო მარტივი, იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რასაც იმ ადამიანების მიერ მონიჭებული მანდატი მაკისრებს, რომლებთან ერთად მშობლიურ ლანჩხუთში ვცხოვრობ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1). სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; 2) ეკონომიკის, ქონების, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

მონაწილეობა მივიღე 23 საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე. საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკით დავესწარი სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას 6-ჯერ, ეკონომიკის, ქონების, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას 11-ჯერ და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სხდომას 11-ჯერ.

მონაწილეობა მივიღე არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი. მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კერძოდ განვიხილეთ ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე შიდა გზების მოხრეშვა - მოასფალტება, სანიაღვრე არხების მოწყობა, სასმელი წყლის და გარე განათების მოწესრიგება, ლაშისღელის სასაფლაოს მისასვლელი გზების მოწყობა.

ასევე მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა შეწამვლითი სამუშაოები.

განვიხილეთ სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდა გზების მოწესრიგების საკითხები, ასევე დახმარება გაეწიათ ოჯახებს, რომელთაც სტიქიის შედეგად დაუზიანდათ სახლის სახურავები.

აქტიურად განვიხილავდი საჯარო სკოლებში საპირფარეშოს და სველი წერტილების მოწესრიგების საკითხებს; აუცილებლად და დროულად გადასაჭრელია მაწანწალა ძაღლებისთვის თავშესაფრის მოწყობის საკითხი, ისინი დიდ საშიშროებას უქმნის მოქალაქეებს.

ასევე დავაყენე საკითხი - ქალაქის ტერიტორიაზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხის მოწესრიგების შესახებ.

მისასალმებელია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში შენდება საფეხბურთო აკადემია, რომელიც აღზრდის მომავალ წარმატებულ ფეხბურთელებს.

ჩემი მიზანია, რომ აქტიურად ვიყო ჩართული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განვითარებაში, მოსახლეობას დავეხმარო სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში.

პატივისცემით,

ზაალ სანაძე



საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები